

საქართველოს კანონი

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, 1996 წელი, №12, მუხ. 15) 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. თანამდებობის პირთა მიერ იმ ანდერძების და რწმუნებულებების დადასტურება, რომლებიც უთანაბრდება ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტებს

ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტებს უთანაბრდება:

საავადმყოფოში, სხვა სტაციონარულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, სანატორიუმში სამკურნალოდ მყოფ ან მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ საავადმყოფოს, სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავრი ექიმის, სამედიცინო ნაწილში მისი მთადგილის ან მორიგე ექიმის მიერ, აგრეთვე მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების დირექტორისა და მთავარი ექიმის მიერ.

საქართველოს აღმით მცურავ საზღვაო გემზე ან საჰაერო ხომალდზე მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ გემის კაპიტნის ან საჰაერო ხომალდის მეთაურის მიერ.

სამძებრო-სადაზღვევო და სხვა მათ მსგავს ექსპედიციებში მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ ექსპედიციის უფროსის მიერ. ჰოსპიტალში, სანატორიუმსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებებში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლის, სანატორიუმისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების უფროსის, სამედიცინო ნაწილში მისი მთადგილის, უფროსის ან მორიგე ექიმის მიერ.

სამხედრო მოსამსახურეთა ანდერძები და რწმუნებულებანი, ხოლო იმ ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სამხედრო სასწავლებლის დისლოკაციის პუნქტებში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო ბიურო და

სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანოები, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეების,მათი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაურის (უფროსის) მიერ.

წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის მიერ."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი